



საქართველოს პარლამენტი

## საქართველოს პარლამენტის წევრი



3179/3-123/21 2 07042021

3179/3-123/21  
07-04-2021

საქართველოს თავდაცვის მინისტრს,  
ბატონ ჯუანშერ ბურჭულაძეს

მისამართი: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა 20.

ბატონო ჯუანშერ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ, იმ ნორმატიული ბაზის, პროცედურების და პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც ხორციელდება თავდაცვის სფეროში სახელმწიფო შესყიდვების საჭიროებების განსაზღვრა.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
გიორგი ხელაშვილი



## საქართველოს თავდაცვის მინისტრი



MOD 1 21 00412007

30/04/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს  
ბატონ გიორგი ხელაშვილს

ბატონო გიორგი,


თქვენი 2021 წლის 7 აპრილის №3179/3-123/21 (რეგისტრაციის №314668) წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სახელმწიფო შესყიდვების საჭიროებების განსაზღვრა და დაგეგმვა ხორციელდება შემდეგი სამართლებრივი აქტების შესაბამისად:

- „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 12 მარტის №06 ბრძანება;
- „თავდაცვის რესურსების პოლიტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 30 იანვრის №32 ბრძანება;
- „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2021-2025“-ის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 12 მარტის №142 ბრძანება.

ამასთან, ყოველწლიურად მტკიცდება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნებისთვის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების განაწილების წესი“, რომელიც, დღეის მდგომარეობით, დამტკიცებულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 13 აპრილის №263 ბრძანებით. თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედებს სხვა სამართლებრივი აქტებიც, რომლებიც ადგენს სხვადასხვა მატერიალური საშუალებების გამოყენების წესებს და განსაზღვრავს საჭირო მარაგებს.

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა ხორციელდება ცალკეული თავდაცვის პროგრამული ბიუჯეტების შესაბამისად. 2021 წლისთვის განსაზღვრულია შემდეგი პროგრამები:

1. თავდაცვის მართვა (29 01).
2. პროფესიული სამხედრო განათლება (29 02).
3. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (29 03).
4. მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობის და კომპიუტერული სისტემები (29 04).
5. ინფრასტრუქტურის განვითარება (29 05).
6. საერთაშორისო სამშვიდობო მისიები (29 06).



7. სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება (29 07).
8. თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება (29 08).
9. ლოჯისტიკური უზრუნველყოფა (29 09).
10. საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობის განვითარება (SG) (29 10).

აღნიშნული პროგრამული ბიუჯეტების მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის კოორდინატორის და ბიუჯეტის განმკარგავის მონაწილეობით, ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების საჭიროებების განსაზღვრა და დაგეგმარება „სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 16 აპრილის №318 ბრძანებით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად. კერძოდ:

- ფინანსების მართვის დეპარტამენტი, არაუგვიანეს 15 ოქტომბრისა, სახელმწიფო ბიუჯეტის საპროგნოზო პარამეტრებს წარუდგენს პროგრამული ბიუჯეტის განმკარგავებს და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტს;
- ბიუჯეტის განმკარგავები, პროგრამის კოორდინატორთან ან/და პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ახორციელებენ პროგრამის/ქვეპროგრამის პარამეტრების შემუშავებისათვის საჭირო მონაცემების (სავარაუდო საბაზრო ფასი და ხელმისაწვდომობა) დამუშავებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამის მონაცემებს გამოითხოვენ სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტიდან;
- სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი სავარაუდო საბაზრო ფასის და ხელმისაწვდომობის დადგენის მიზნით, ატარებს შესაბამის ბაზრის კვლევას ან/და მონაცემების მიწოდებას ახორციელებს ბოლო ორი წლის მანძილზე განხორციელებული შესყიდვების შესაბამისად;
- პროგრამული ბიუჯეტის განმკარგავები პროგრამის კოორდინატორთან და ხელმძღვანელთან შეთანხმებით, მომდევნო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საპროგნოზო პარამეტრების შესაბამისად, ახორციელებენ გეგმის ფორმირებისათვის საჭირო შესყიდვის ობიექტის რაოდენობრივი და თანხობრივი მონაცემების, ასევე შესყიდვის ვადების (კვარტლების შესაბამისად) შესახებ ინფორმაციის წერილობით წარდგენას სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტში არაუგვიანეს პირველი ნოემბრისა;
- წარდგენილი შესყიდვის ობიექტის რაოდენობრივ და თანხობრივ მონაცემების საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმის პროექტის მომზადებას, რომელსაც ხელს აწერენ პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე.

სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის სახეობის და/ან რაოდენობის ცვლილების შემთხვევაში, ხორციელდება ცვლილების შეტანა შესყიდვების გეგმაში, ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში დეტალურად გაწერილია თითოეული პროგრამის მიხედვით შესასყიდი საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს რაოდენობრივი და თანხობრივი მონაცემები, ხოლო მათი ტექნიკური პარამეტრების განსაზღვრა დამატებით ხორციელდება ბიუჯეტის განმკარგავების და/ან პროგრამის კოორდინატორის მიერ ცალკეული შესყიდვის განხორციელების მიზნით მოთხოვნების წარდგენისას.

პატივისცემით,

მინისტრი  
ჯუანშერ ბურჭულაძე

Handwritten signature in blue ink, appearing to read 'J. Burdzhuladze'.